დროის კონცეპტის თავისებურება ბორის პასტერნაკის ცხოვრებასა და შემოქმედებაში (ქართველ ადრესატებთან მიმოწერის მიხედვით)

THE PECULIARITY OF THE CONCEPT OF TIME IN BORIS PASTERNAK'S LIFE AND WORK (CORRESPONDENCE WITH GEORGIAN ADDRESSEES)

სალომე ბედუკაძე

Salome Bedukadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ბორის პასტერნაკი, ქართველი ადრესატები, პასტერნაკის ადრესატები, ეპისტოლური მემკვიდრეობა, ქართველი პოეტები, ტიციან ტაბიძე, ნინო ტაბიძე, პაოლო იაშვილი, დროის ცნება

Keywords: Boris Pasternak, Georgian addressees, Pasternak's addressees, epistolary heritage, Georgian poets, Titsian Tabidze, Nino Tabidze, Paolo Iashvili, concept of time

ბორის პასტერნაკის ქართველ ადრესატებთან მიწერილი წერილები მნიშვნელოვანი საკვლევი მასალაა, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის თარგმანის პროცესზე, მწერლის შეხედულებებსა და მოსაზრებებზე მისი ეპოქის შესახებ. აქ წარმოდგენილი კვლევა ეფუძნება ბორის პასტერნაკის ეპისტოლარული მემკვიდრეობის იმ ნაწილს, რომლის ადრესატებიც ქართველი მეგობრები არიან.

ბორის პასტერნაკის პირადი წერილები ყოველთვის იწვევდა მკვლევართა ინტერესს და დღესაც არ კარგავს აქტუალობას.

დროის, ეპოქის გამორჩეული სიმწვავით შეგრძნება თან სდევს პასტერნაკის შემოქმედებას, მის ცხოვრებას, მსოფლხედვას. 1914 წელს მშობლებისთვის მიწერილ წერილში აღნიშნავს: „დრო არ იძვრის, მაგრამ წვეთ-წვეთად ისრუტება რაღაც ავდრის კვანძებით...“ დრო არ იძვრის, უძრაობის ჟამია. თავი სამყაროს ცენტრად წარმოუდგენია. იბადება არა მხოლოდ დროის, არამედ სამყაროს ხელახლა წარმოების სურვილი.

მაშინ, როცა შიში და ტერორი მეფობს, „სულ გადარჩენა გიწევს“ როგორც ფიზიკური, ისე მორალური. საკუთარ თავთან გამოტყდომის, შინაგანი ბრძოლის, გადარჩენის, საკუთარი თავის ძიებისა და ქმნადობის ეს პროცესი ზედმიწევნით აისახა პასტერნაკის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში. ეს წერილები მხოლოდ ადრესატებთან კი არა, საკუთარ თავთან საუბრის საშუალებაცაა. საქართველოში მოგზაურობა საკუთარ თავში მოგზაურობად იქცა პასტერნაკისთვის, შემოქმედებითი სამყაროს ხელახლა წარმოების საშუალებად, „განრიგიდან ამოვარდნად“, ტიციანისეულ „გადავარდნად“ (ასე უწოდებდა, სიმონ ჩიქოვანის თქმით, ტიციანი მისთვის დამახასიათებელ განსაკუთრებულ, მშფოთვარე ინტონაციას).

პასტერნაკის უნარი, მუდმივად გრძნობდეს დროის პულსს, ხვდებოდეს მის დიდ გეგმებს, იმაშიც გამოიხატება, რომ ზუსტად იცის, როდის არის ბრძოლის და როდის დალოდების დრო. მიუხედავად იმისა, რომ ვერ ეგუება ასეთ მასშტაბურ დეჰუმანიზაციას, ბრძოლის ეტაპად მიაჩნია დალოდებაც.

პასტერნაკის გზა მუდმივი ქმნადობის გზაა, სიკვდილის და სინდისის გზა, როგორც ამას მერაბ მამარდაშვილი აღნიშნავს პრუსტთან მიმართებით. და ეს არის ის გზა, რომელსაც მოაქვს განწმენდა, ვინაიდან, თუ პრუსტს გავიხსენებთ, დიადი მოვლენების მხოლოდ მაყურებლად ყოფნას განწმენდა არ მოაქვს, არ ანიჭებს ადამიანს თავსუფლებას, რამდენადაც გადამწყვეტია ის, თუ შენ რა როლს შეასრულებ ამ მოვლენებში, რის გაკეთებას შეძლებ. ეს იქნება სწორედ შენი ბედი. ამგვარ ბედს ირჩევს პასტერნაკი, იმიტომ, რომ მას მეტი სურს. როგორც 1955 წლის დეკემბერში ნინოს მისწერს, უამრავი საბაბი და სურვილი აქვს, რომ დაარღვიოს მარტოობა და საერთო საქმიანობაში ჩაებას. თუმცა სწორედ ამ დროს აანალიზებს, რომ იმ ადამიანებთან, რომლებსაც უყვართ და პატივსაც სცემენ, თითქმის არაფერი აქვს საერთო. მან ზუსტად იცის, „მეორედ დაბადებისთვის“ რომ სიკვდილის გზა უნდა გაიაროს, რომანი უნდა დაწეროს და გამოსცეს.

ბორის პასტერნაკმა იცის, რომ დროის გეგმა ყველა თვალსაზრისით აღსრულდა და მიაჩნია, რომ მათი დრო უკვე განვლილი ეტაპია: „გაუგონარ ძალისხმევად რომ დაგვიჯდა, ის უზარმაზარი პერიოდი დამთავრდა, წავიდა. გათავისუფლდა განუზომლად დიდი ადგილი, რომელიც ჯერჯერობით ცარიელია და ელოდება ახალს, ჯერარნახულს, იმას, რაც ვინმეს გენიალური დამოუკიდებლობითა და სიახლით იქნება მიღწეული, იმას, რასაც შთანერგავს და იწინასწარმეტყველებს ცხოვრება ახალი დღეებისა და თარიღებისა“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 269) დაკარგული დროის ძიება, დაკარგული სამოთხის ძიება, ახლა უკვე შვილების პრეროგატივაა. სწორედ ამის შესახებ სწერს ტიციანის ტანიტს, ნიტა ტაბიძეს, დანტეს ჯოჯოხეთგამოვლილს. პასტერნაკს კი მართებს, დროში დაკარგვის საშიშროებას გაუმკლავდეს და თავად შექმნას საკუთარი თავიცა და ეპოქალური რომანიც. ამ განვლილ გზას ასახავს ძალზედ საინტერესოდ და საფუძვლიანად პასტერნაკის ეპისტოლური მემკვიდრეობა.

ლიტერატურა:

პასტერნაკი ბ. (2018). ბორის პასტერნაკის ქართველი ადრესატები. (ს. ბედუკაძე, მთარგმნ.) თბილისი: გლოსა.

Филина М. Киасашвили Е. (11 Февраль 1990 г.). Цель творчества – самоотдача. *Заря Востока*.

Пастернак Б. (2004). *Полное собрание сочинений* (Т. III). Москва: Слово.

Пастернак Б. (2005). *Полное собрание сочинений* (Т. XI). Москва: Слово.

Мамардашвили М. (2015). „Психологическая топология пути (М. Пруст. „В поисках утраченногпвремени“)“, Москва).

Boris Pasternak's letters to the Georgian addressees are an important research material for understanding the translation process or the writer's views and opinions on his time and epoch. The research presented here is based on the part of Boris Pasternak's epistolary heritage addressed to his Georgian friends.

The personal letters of Boris Pasternak have always arisen the interest of researchers and even today it is still in progress.

Pasternak's work, his life, and worldview are characterized by a distinctly intense feeling of time and era. In a letter written to his parents in 1914, he noted: "Time does not move, but drops by drop it is being squeezed by knots..." Time does not move, it is time of immobility. He imagines himself to be the center of the world. The desire to reproduce not only time, but also the universe is born.

When fear and terror reign, "you have to survive" both physically and morally. This process of internal struggle, survival, self-searching and creation was carefully reflected in Pasternak's epistolary legacy. These letters are a way to talk not only to the addressees, but also to yourself. A trip to Georgia became a journey into himself for Pasternak, an opportunity of reproducing the creative world, a "falling out of schedule", Titsian Tabidze's "falling over" (that's what Titian called the

special, stormy intonation characteristic of him, according to Simon Chikovani).

Pasternak's ability to constantly feel the pulse of time, to understand his big plans, is also expressed in the fact that he knows exactly when it is time to fight and when to wait. Although he cannot adapt to such large-scale dehumanization, he considers waiting to be a stage of struggle.

Pasternak's path is the path of constant creation, the path of death and conscience, as Merab Mamardashvili points about Marsel Proust. And this is the way that brings purification, because, if we remember Proust, being only a spectator of great events does not bring purification, does not give one freedom. It is crucial what role you will play in these events, what you will be able to do is decisive. This will be your fate. Pasternak chooses this fate because he wants more. As he writes to Nino Tabidze in December 1955, he has many excuses and desires to break his solitude and engage in common activities. However, it is at this time that he analyses that he has almost nothing to do with the people whom he loves and respects. He knows for sure that for "rebirth" he has to go through the path of death, he has to write and publish a novel.

Boris Pasternak knows that the time plan has been fulfilled in all respects and believes that their time has already passed: "That huge period, which cost us an unheard-of effort, is over. An immeasurably large space has been released, which is still empty and awaits the new, the unseen, what will be achieved by someone's genius independence and innovation, what inspires and predicts the life of new days and dates" (Pasternak, 2018, p. 269) Searching for lost time, The search for the lost paradise is now the prerogative of the new generation. Pasternak writes about this to Titsian's Tanit, Nita Tabidze, who went through Dante's Hell. And Pasternak has to deal with the danger of being lost in time and create himself and an epochal novel. Pasternak's epistolary heritage reflects this path in a very interesting way.

References:

პასტერნაკი ბ. (2018). *Georgian addressees of Boris Pasternak]]*. (S. Bedukadze, Translator). Tbilisi: Glosa.

Филина М., Киасашвили Е. (11 Февраль 1990 г.). Цель творчества – самоотдача. *Заря Востока*.

Пастернак Б. (2004). *Полное собрание сочинений* (Т. III). Москва: Слово.

Пастернак Б. (2005). *Полное собрание сочинений* (Т. XI). Москва: Слово.

Мамардашвили М. (2015). „Психологическая топология пути (М. Пруст. „В поисках утраченногпвремени“)“, Москва).